პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 196 (3680)

5 ოქტომბერი შაბათი. 1968 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

MEXICO 68

XIX ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი მასალები იხ. გაფლილ გვერდზე.

სურათზე: საბჭოთა ალპის საზეიმო ალმართვა ოლიმპიურ სოფელში.

ფოტო ე. სარატოვისა (საკდესი).

MEXICO·1968·MEXICO·XIX·MEXICO·1968

ოლიმპიადის გახსნამდე დარჩა 7 დღე

მექსიკის ნაცვლად... თბილისში

რეპორტაჟი „დინამოს“ სტადიონიდან

საქართველოს მძლეოსანთა წლევანდელი ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირა დარჩა, თბილისელები „დინამოს“ სტადიონზე ემზადებიან. იმ დღესაც ყველა ბილიკი, ყველა სექტორი დაკავებული იყო. ტრიბუნებზე შეკრებილი „სპორტის დედოფლის“ ნამდვილი თაყვანისმცემლები გააკვირვა უცხოურად გამოწყობილი ადამიანების გამოჩენამ. სტუმრებს თბილისელი მწვრთნელები მიეგებნენ, რაღაც მოითათბირეს და უცხოელები გამოეწყვნენ სპორტულ ფორმაში. მოედანს მივაშურე და საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილეს დ. მიქაბერიძეს სტუმრების ვინაობა ვკითხე.

— ინდოეთის მძლეოსნები არიან. მობრძანდით, მათი მეგზური ბატბატე უკეთ აგიხსნით, — მითხრა მიქაბერიძემ და გამიძღვა, თარჯიმანი მ. ბატურინსკაიც მოიხმო.

ბატბატე: საბჭოთა კავშირში ჩვენი ჩამოსვლის მიზეზი ერთი შეხედვით უცნაურად შეიძლება მოგეჩვენოთ. მექსიკოს ოლიმპიადისთვის მზადება ინდოეთშიც დროულად დავიწყეთ. მძლეოსნობა ჩვენში ჯერ კიდევ ჩამორჩება, მაგრამ ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონატში ოლიმპიური ნაკრების 6 ისეთი კანდიდატი შევარჩიეთ, რომლებმაც ან იაფი-ის ნორმატივი შეასრულეს ან საგრძნობლად მიუახლოვდნენ მას. ეს 6 სპორტსმენი მთელ წელიწადს ემზადებოდა. მექიკოში წასვლის იმედი ყველას ჰქონდა, მაგრამ ბოლო შესარჩევმა შეჯიბრებამ საგზური მისცა მხოლოდ ორს: 21 წლის კ. პრავინს, რომელიც ტანად 2 მეტრია და 120 კილოგრამს იწონის და ბ. სინგხს. პირველი უროს 65 მეტრს იქით ტყორცნის, ბაღროს — 54 მეტრამდე. მეორე სიმაღლეზე მხტომელია (მისი საუკეთესო შედეგია 206 სმ).

ვიდრე ბატბატე გვესაუბრებოდა, ინდოეთის მძლეოსნების მეურვეობა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა კ. მაღიშკოვმა, მწვრთნელებმა, სპორტის ოსტატებმა ზ. ჯარაშნელმა და ვ. ჩხეიძემ (სახეობების მიხედვით) იკისრეს.

სტუმრების წინამძღოლი კი განაგრძობდა:

— ამრიგად, ოთხი კაცი ოლიმპიური საგზურის გარეშე დარჩა, მაგრამ ბიჭებს მთელი წლის შრომა წყალში როდი ჩაუყარეს. სსრ კავშირის მძლეოსნობის ფედერაციამ თანხმობა მოგვცა და ისინი აზერბაიჯანსა და საქართველოში ჩამოვიყვანეთ ერთობლივი წვრთნის ჩასატარებლად. ვფიქრობთ, სტუმრობა ჩვენთვის უნაყოფოდ არ ჩაივლის...

საუბარი ჯარაშნელმა შეგვაწყვეტინა — თარჯიმანი წაგვართვა: რამდენიმე რჩევა უნდოდა მიეცა 400 მეტრზე რბენაში ინდოეთისა და აზიური თამაშების ჩემპიონის აჯიმარ სინგხისთვის, რომელიც პანჯაბის შტატიდანაა.

ბატურინსკაია: აჯიმარ! საქართველოს სპორტული პრესის წარმომადგენელს აინტერესებს თქვენი მაჩვენებლები.

. ა. სინგხი: ჩემი საყვარელი სახეობებია 200 და 400 მეტრზე რბენა. შტრზე დარბის. მისი ეროვნული რეკორდია 1.49,4, მაგრამ აზიური თამაშების ჩემპიონს ბოლო ტურნირში ამ დისტანციაზე 1 წუთი და 51,3 წამი დასჭირდა (საქართველოს რეკორდია 1.50,1).

— კმაყოფილი თუ ხართ მოსწავლის? — ვკითხე ჩხეიძეს, რომელთანაც სიგრძეზე ხტომისა და სამხტომის ვერალალელი ოსტატი კ. ჩაგუნავანი იდგა. მისი საუკეთესო მაჩვენებლებია 750 სმ და 15,80 მ, რაც ოდნავ ჩამორჩება ინდოეთის რეკორდებს (საქართველოს რეკორდებია 790 და 16,87 მ).

— შესანიშნავი რეაქცია აქვს, მაგრამ ხტომისას მუხლები უსწოროდ გაქვს წინ. ახლა სწორედ ამ ნაკლს მივუთითებდი, — მიპასუხა მწვრთნელმა.

ერთობლივი ვარჯიში დიდხანს გაგრძელდა. სტუმრები კმაყოფილი იყვნენ. მათ გუშინაც დიდხანს დაჰყვეს სტადიონზე, დღეს კი საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებთან ერთად მათთვის საყვარელ სახეობებში ცდიან ძალას.

ო. გელაშვილი.

* * *

სურათზე: ა. სინგხი და ზ. ჯარაშნელი.

ფოტო ავტორისა.

კლეის რინგზე არ უშვებენ

მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის კასიუს კლეი (მუჰამედ ალი) ვერა და ვერ დაუბრუნდა რინგს, თუმცა აღარც აცხადებს პრეტენზიას ჩემპიონის გვირგვინზე, რომელიც მას შარშან ჩამოართვა პროფესიული კრივის ასოციაციამ. როგორც იცით, ეს იმიტომ მოხდა, რომ კლეიმ უარი განაცხადა ამერიკის არმიაში სამსახურზე და ვიეტნამში ბრძოლაზე.

ამ უარისთვის კასიუს კლეის ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ნოემბრის დამდეგს ვაშინგტონში უმაღლესი სასამართლო განიხილავს მის აპელაციას. მთელი ამ ხნის განმავლობაში კლეის ვალებმა ასტრონომიული თანხა შეადგინა. კლეი ახლა არ მალავს, რომ რინგზე გამოსვლა მხოლოდ ფულის მოსაგროვებლად სჭირდება — კრედიტორებს უნდა გაუსწორდეს.

ცდა, რომ კლეის პირველი შეხვედრა ჭალაქ კოლუმბუსში (ოგაიოს შტატი) გამართულიყო, მარცხით დამთავრდა. ქალაქის მერმა კლეის სპორტდარბაზი არ დაუთმო. მაშინ ყოფილმა ჩემპიონმა გადაწყვიტა შეხვედრა ცნობილ მოკრივესთან ჯ. ფრეზერთან არიზონაში ჩაეტარებინა. მაგრამ აქ ორთაბრძოლას ადგილობრივმა სპორტულმა ორგანიზაციებმა შეუშალეს ხელი. კლეის მომხრეებმა გადაწყვიტეს მისი შეხვედრა მეორე ცნობილ მოკრივესთან ზ. ფოლისთან მოეწყოთ არიზონის ინდიელთა რეზერვაციის ტერიტორიაზე, სადაც მატჩის გამართვას სპორტული ასოციაციები და ადგილობრივი ხელისუფალნი იურიდიულად ხელს ვერ შეუშლიდნენ. დაიდო ხელშეკრულება. დათქვეს შეხვედრის დღე — 26 ოქტომბერი. მაგრამ ინდიელთა იმ ტომის საბჭომ, რომლის ტერიტორიაზეც ბრძოლა უნდა გამართულიყო, გადაწყვიტა კლეისთვის ამ შეხვედრის ნებართვა არ მიეცა (რა თქმა უნდა, აშკარაა სხვების გავლენა).



◆ სან-პაულუ, 4 ოქტომბერი. ბრაზილიის ფეხბურთის კერპმა პელემ ახალ ამპლუაში გადაწყვიტა გამოსვლა. რეიტერის საგენტო იმოწმებს საღამოს გაზეთ „ჟორნალ დო ტარდეს“ (გამოდის იმ ქალაქში, სადაც პელე ცხოვრობს), რომლის ცნობით, სახელგანთქმულმა თავდამსხმელმა ხელი მოაწერა კონტრაქტს ტელევიზიასთან. ამ ხელშეკრულების ძალით პელე როგორც მსახიობი გამოვა 25-სერიიან სათავგადასავლო ტელესერიალში და დიდ honorar-საც მიიღებს.

◆ ბაქო, 4 ოქტომბერი. აზერბაიჯანელმა მთამსვლელებმა დაიპყრეს კავკასიონის ქედის უსახელო მწვერვალი (3680 მ) და მასზე თავიანთი რესპუბლიკის დროშა აღმართეს. მწვერვალს 26 ბაქოელი კომისრის სახელი ეწოდა.

◆ ვილნიუსი, 4 ოქტომბერი. აქ დაიწყო ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სტუდენტთა I თამაშები, მიძღვნილი ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი. 400 სპორტსმენი, რომელთა შორის ცოტა როდია ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონი და პრიზიორი, იასპარეზებს კალათბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში, ცურვასა და ტანვარჯიშში. ოლიმპიურ წელიწადს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სტუდენტთა სპორტულმა მოძრაობამ სარეკორდო ციფრს მიაღწია: 50 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების წევრია.

◆ პშხაბადი, 4 ოქტომბერი. სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატში გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ 2-2 ქულით ლიდერობენ ალექსანდრია ჩატულოვსკაია და ბორისენკო.

რეკორდები ვადამდე

მეხიკო, 3 ოქტომბერი. (საკდესი). ოლიმპიური ტრეკი კვლავ ამართლებს მსოფლიოში უსწრაფესი სარბიელის რეპუტაციას. 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში იტალიის ველოსიპედისტებმა ასეთი დრო აჩვენეს: 4.24,6. ეს ბევრად მეტია როგორც ოლიმპიურ, ისე მსოფლიო რეკორდზე.

ახალი მიღწევა ოფიციალურად არ გაფორმდება, ვინაიდან იგი წვრთნის დროსაა ნაჩვენები, მაგრამ იტალიელთა ხელმძღვანელი ჯ. კოსტა მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი. მან კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა ველოსიპედისტებისაც, რომლებმაც 2 დღის წინ ასევე მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგი აჩვენეს.

ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ მძლეოსანთა შეჯიბრებაში 84 ქვეყნის 1113 სპორტსმენი ჩაებმება. მათ შორის 257 ქალია. ყველაზე დიდ ჯგუფს მართონელები შეადგენენ — 86 მორბენალი. შემდეგ მოდის რბენა 100 (84) და 200 მეტრზე (72 მორბენალი).

ოლიმპიური ჩემპიონი 3 ათას მეტრზე წინაღობებით რბენაში გ. რუელანტსი (ბელგია) სამ სახეობაში აპირებს გამოსვლას. ძირითადი დისტანციის გარდა, იგი ძალას ცდის 10 ათას მეტრზე რბენასა და მარათონშიც.

ამასობაში მექსიკის ქალაქ მონტერეიში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა წინაოლიმპიური შესარჩევი ტურნირი, რომელმაც გამოავლინა ფინალური შეჯიბრების ბოლო 2 მონაწილე. სანუკვარი საგზურები მოიპოვეს ესპანეთისა და პოლონეთის გუნდებმა, რომლებმაც ოთხ-ოთხიდან სამ-სამი მატჩი მოიგეს. ბოლო შეხვედრა ესპანელებმა წააგეს პოლონელებთან (82:83), რომლებისთვისაც ამ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მომდევნო ადგილები დაიკავეს ურუგვაის, ინდონეზიისა და ავსტრალიის კალათბურთელებმა.

ბიბლიოთეკა

ბუდაპეშტში გამართ... ბადრო 60,78 მეტრზე ტყორ... მიერ 6 წლის წინათ დამყარებ... ბოლო ტურნირი მეხიკოში გა...

ბაქსტმჭაში. რუმინე... გფრ-ის ამ ქალაქში ბადროს ტ... ნეს და მეხიკოს საგზურები გა...

მეხიკოში წასვლის წინ... ზელიონა-ბურში) ვ. ნიკიჩუკ... რბენაში კი ი. კირშენშტეინ-შ... მეორა.

აშშ-ს მძლეოსანთა ნა... დიონზე ვარჯიშობს. გასულ... მათსონმა ბირთვი 20,86 მეტრზ... ეცა. კვირას ამერიკელმა ათლეტ... დიოდნენ, ავრეთვე, კანადის, გ... ერი ქარი ქრიდა, რომლის სი... მეტრზე ერთ-ერთ გარბენში 17... 200 მეტრზე რბენაში ვ. ტაიეს... ლინსმა გადააჭარბა ერთვეულ... თვი 20,88 მეტრზე ჰკრა, რ... მოუგო კ. შიპროვსკის, რომ... შიპროვსკის 528 სმ გადალა... ნაიდან ჰოკი სახტომ ორმოში

ვიქტორიაში (კანადა)... რი, რომელშიც მასპინძელთა გა...

მეხიკოს პრო...

საწვრთნელი პროცესის სწორად წარმართვა მაქსიმალური სპორტული შედეგების მიღწევის მიზნით. დატვირთვის თანდათან ზრდა მზადების ყველა ეტაპზე წესად უნდა იქცეს. საწვრთნელი მეცადინეობის გეგმაში მოთელვას მეტი დრო ეთმობა და უფრო თავისუფალი ხდება. გაკვეთილის ძირითად ნაწილში ვარჯიშებს შორის ინტერვალები შეიძლება გაიზარდოს. საწვრთნელი მეცადინეობის დასკვნითმა ნაწილმა სპორტსმენის ძალის სრული აღდგენა უნდა უზრუნველყოს.

წარმატებისთვის მნიშვნელოვანია მოთელვის ხელოვნების დაუფლებაც. შუამთიანეთის პირობებში შეინიშნება სისწრაფისა და ძალისმიერი თვისებების ზრდა, რასაც შეუძლია დაარღვიოს ფიზიკური თვისებებისა და ჩვევების ურთიერთკავშირი. ამიტომ საწვრთნელი პროცესის ორგანიზაციის დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ იმ საშუალებებისა და მეთოდების შერჩევა, რომლებიც ფიზიკური თვისებებისა და სამოძრაო ჩვევების მყარ ურთიერთკავშირს უზრუნველყოფენ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკის დონეს ვარჯიშის დრო... მოძრაობის სტრუქტურისა და დინა... კის წარმართვას, მათ შორის, ... თების მოდუნებას ვარჯიშის ყ... ეტაპზე.

იმასთან დაკავშირებით, რომ სხ... ლის კომპენსაციური შესაძლებლობ... შუამთიანეთის პირობებში იზღუდ... თვითეული სპორტსმენი განსაკუთ... ბულ ყურადღებას უნდა აქცევდეს... ჯიბრებებში სპორტული ბრძოლის ... ქტიკის თავისი ინდივიდუალური ... საძლებლობების შესაბამისად გამო... შავებას. ამასთან, გადართვის განსა... თრებული სიძნელის გამო, აუცი... ლია ამ მხრივ სპეციალური წ... აუცილებელია სპორტსმენმა იცოდ... თავისი შესაძლებლობები სპორტ... ბრძოლის მსვლელობისას. ჩჭაროსხ... ძალისმიერ სახეობებში საწვრთნ... პროცესის სწორად აგებისას შესაძ... ბელია დაბლობში ნაჩვენები შედეგე... გაუმჯობესება, ამტანობასთან დაკ... შირებულ სახეობებში კი მიახლოება ... შედეგებთან. ზოგიერთ სახეობაში (... ლოსპორტი) მსოფლიო რეკორდ... უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებ...

4×100 მ — 38,5!

აშშ-ს სპრინტერთა გუნდმა (ჩ. გრინი, მ. პენდერი, რ. სმითი და ჯ. ჰაინსი) კალიფორნიის მაღალმთიან ქალაქ საუთ-ლეიკ-ტაჰოს სტადიონ „ეჩო სამიტის“ ტარტანის ბილიკზე 4×100 მეტრზე ესტაფეტაში 38,5 წამი აჩვენა. ეს ბრწყინვალე შედეგი 0,1 წამით სჯობს ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს, მაგრამ რეკორდად არ დამტკიცდება, ვინაიდან გარბენი საწვრთნელი იყო.

მძლეოსნობა

ერთ-ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა გამოთქვა აზრი, რომელიც ერთი შეხედვით შეიძლება არასერიოზულად მოგეჩვენოს, მაგრამ მაინც ყურადღებას იქცევს. ამ მეცნიერის შეხედულებით, მეხიკოში სიმაღლის პრობლემა კი არა, ამ სიმაღლისადმი დამოკიდებულების პრობლემა დგას. სხვა სიტყვებით, ამ ავტორის აზრით, საშიშია არა იმდენად ფიზიოლოგიური, რამდენადაც ფსიქოლოგიური სიძნელეები.

იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოემზადოს სპორტსმენი სასიმაღლო სტარტებისთვის, როგორია მთის პირობებში აკლიმატიზაციის თავისებურებები და ბევრ სხვა საკითხზე გვესაუბრება ფიზკულტურის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. ქორობკოვი.

მეხიკოს ოლიმპიადა იმითაცაა ერთული, რომ მაღალმთიანეთის პირობებში ტარდება. ეს სპორტსმენების, მწვრთნელების, ექიმებისა და მეცნიერების წინაშე აყენებს მთელ რიგ პრობლემებს, რომელთაგან ბევრის გადაჭრა ჩვენ პირველად მოგვიხდა.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ „ბარად“ გულმოდგინე სპორტული ვარჯიში მეხიკოსთვის მზადების უმნიშვნელოვანესი ეტაპია. წინა წლებში ჩატარებული ანალიზი საკმაო დამაჯერებლობით მოწმობს, რომ სპორტსმენები შუამთიანეთის ახალ და გართულებულ პირობებს უკეთ და უფრო სწრაფად ეგუებიან იმ შემთხვევაში, თუ კარგად არიან მომზადებული, კარგად აქვთ განვითარებული ფიზიკური თვისებები, განსაკუთრებით, ამტანობისა და სისწრაფის ამტანობის სხვადასხვა სახეობასთან დაკავშირებული ფიზიკური თვისებები. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ვარჯიშის შესრულების მაღალი დონე და მყარი ტექნიკა.

მათთვის, ვინც შუამთიანეთში ჯანმრთელი და კარგად ნავარჯიშევი ჩადის, სიმაღლე განსაკუთრებულ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს და არც წარმოადგენს. აუცილებელი რეკომენდაციების დაცვის წყალობით სხეული გაურთულებლად ეგუება ჟანგბადის ნაკლებობას და გვიჩვენებს მაქსიმალურ ფსიქიკურ და ფიზიკურ შრომისუნარიანობას, სპორტული ფორმის განვითარება აქტიურად ხდება.

რა საშუალებები და მეთოდები უწყობს ხელს შუამთიანეთში საწვრთნელი პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვას?

შუამთიანეთის პირობებში მთავარია მორბენალი. შემდეგ მოდის რბენა 100 (84) და 200 მეტრზე (72 მორბენალი).

ოლიმპიური ჩემპიონი 3 ათას მეტრზე წინაღობებით რბენაში გ. რუელანტსი (ბელგია) სამ სახეობაში აპირებს გამოსვლას. ძირითადი დისტანციის გარდა, იგი ძალას ცდის 10 ათას მეტრზე რბენასა და მარათონშიც.

ამასობაში მექსიკის ქალაქ მონტერეიში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა წინაოლიმპიური შესარჩევი ტურნირი, რომელმაც გამოავლინა ფინალური შეჯიბრების ბოლო 2 მონაწილე. სანუკვარი საგზურები მოიპოვეს ესპანეთისა და პოლონეთის გუნდებმა, რომლებმაც ოთხ-ოთხიდან სამ-სამი მატჩი მოიგეს. ბოლო შეხვედრა ესპანელებმა წააგეს პოლონელებთან (82:83), რომლებისთვისაც ამ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მომდევნო ადგილები დაიკავეს ურუგვაის, ინდონეზიისა და ავსტრალიის კალათბურთელებმა.

„სამხრეთული გაელვება“

ჩვენი ოლიმპიელები

მაგრამ ბედმა არც იქ გაუღიმა.

1965 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ესპანეთის საკურორტო ქალაქი სან-სებასტიანი მასპინძლობდა. მაშინ ფხაკაძე უკვე საგრძნობ ძალას წარმოადგენდა და სპეციალისტები ნახევარფინალში გასვლას უწინასწარმეტყველებდნენ. ომარი კი უფრო დიდ წარმატებაზე ფიქრობდა.

ფინალმა ერთმანეთს შეახვედრა ფხაკაძე და ჯ. ტურინი. ეს დუელი იყო უშეღავათო ბრძოლა სპრინტში მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისთვის, რომელიც ბოლოსდაბოლოს ქართველ ველოსიპედისტს ხვდა. თვითონ ტურინი იმდენად აღტაცებული იყო ფხაკაძის ოსტატობით, რომ შინ დაბრუნების შემდეგ ახალშეძენილ ვაუს სწორედ თავისი მძლეველის სახელი დაარქვა.

ახალ მსოფლიო ჩემპიონს დასავლეთის პრესამაც ხათანადო ხარკი გადაუხადა. „ველოსპორტის ვეფხვი“, „სამხრეთული გაელვება“ და ვინ იცის, კიდევ რა უწოდეს! ფხაკაძისთვის კი ყველაზე სასახელო ის იყო, რომ სსრ კავშირის სპრინტერი ვაუებიდან პირველმა მოიპოვა მსოფლიოში უძლიერესის ტიტული.

მსოფლიო ჩემპიონობის აღიარებული ფავორიტები ვერ შეგუებოდნენ იმ აზრს, რომ უმაღლესი ჯილდო „ვიღაც გამოუცდელმა“ დაისაკუთრა. იტალიელი ტურინი, ფრანგები მორელონი და ტრანტენი მთელ წელიწადს ემზადებოდნენ რევანშისთვის, მაგრამ უქმად არც მსოფლიოს ჩემპიონი გახლდათ.

ფხაკაძისთვის ამ მზადების ერთერთი ეტაპი იყო გამოსვლები საფრანგეთის, გდრ-ის, დანიის, ჰოლანდიის 8 ტრეკზე. გერმანიის ქალაქ გერაში მან მეორედ მოუგო ტურინის და საჩუქრად აკორდეონი მიიღო. დანიაში „კოპენჰაგენის დიდი პრიზისთვის“ ბრძოლაში იგი შეხვდა მორელონს, რომელიც მანამდე ამსტერდამში დაამარცხა. ფხაკაძის ექსპერიმენტი უხეირო გამოდგა და მან მცირე უპირატესობით წააგო. სამი დღის შემდეგ მორელონზეც იძია შური. ფინალში მან იმ ინგსტრუპსაც სძლია, ვისთანაც 1963 წელს დამარცხდა.

...დადგა მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტი დღე. ფხაკაძის მთავარი მეტოქენი ტრეკზე ისე იქცეოდნენ, თითქოს წინასწარ შეთანხმდნენ: „სულ ერთია, ვინ, ოღონდ ფხაკაძე არა“. პატიოსან ბრძოლას ნაჩვენი ომარი ამას არ ელოდა. საბოლოოდ იგი იძულებული გახდა ბრინჯაოს მედალს დასჯერებოდა.

მეხიკოს ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში ფხაკაძის მეურვეობა ა. გუნიას მიენდო. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ახალმა მწვრთნელმა ახალი მოთხოვნები წაუყენა, შრომისმოყვარე ომარმა გამოწვევა მიიღო და ორჯერ ზედიზედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა. მან ბევრი ტურნირი მოიგო იტალიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, გდრ-ის ველოსტადიონებზე. ერთადერთი, ვისთანაც ფხაკაძემ წააგო, იხევ მსოფლიოს ახალი ჩემპიონი მორელონი გახლდათ. მაგრამ დასავლეთის ბევრი სპეციალისტი შიშობს, რომ ეს იყო ფხაკაძის „ცხენით სვლა“, რომელიც ერთდროულად ორ მსხვერპლს უმიზნებს.

მწვრთნელს სჯერა: ფხაკაძე მეხიკოდან ხელცარიელი არ დაბრუნდება.

ნ. გიგოლაშვილი.



სურათზე: ომარ ფხაკაძე.

დადის სპორტსმენები. 100 მეტრზე რბენაში ჯ. კარლოსმა (აშშ) 10,1 აჩვენა, ხოლო 200 მეტრზე — 20,4. ამერიკის გუნდებმა მოიგეს ესტაფეტები 4×100 და 4×400 მეტრზე — 39,1 და 3.02,5.

◆ ოლიმპიური სოფლის სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა ტურნირში ჩ. ისაკსონმა (შვეცია) ჭოკით 525 სმ გადალახა და 5 სანტიმეტრით გააუმჯობესა ეროვნული რეკორდი. მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა რ. დანეკმა (ჩეხოსლოვაკია) მოიგო ბადროს ტყორცნა — 60,44 მ. 800 მეტრზე რბენაში პირველი იყო ინგლისელი ჯ. ბოულტერი — 1.48,7, 3000 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ჯ. უეტონმა (ინგლისი) — 8.13,6. ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი, ინგლისელი ლ. დეკისი 778 სანტიმეტრზე გადახტა. შუბის მტყორცნელ ქალთა შორის ყველას აჯობა ვ. ევერტმა (სსრ კავშირი) — 49,52, ბირთვის კვრაში — ი. სოლონცევამ — 16,96, 200 მეტრზე რბენაში — ავსტრალიელმა პ. ნორმანმა — 20,3, ესტაფეტაში 4×100 მეტრზე — სსრ კავშირის ვაჟთა კვარტეტმა, რომელმაც ისე, როგორც ავსტრალიელთა გუნდმა, 39,2 წამი აჩვენა. ქალთა ესტაფეტაც საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს — 44,5.

◆ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ბრემერვერდეში გამართულ პატარა შეჯიბრებაში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია ბ. კლინგნერმა: მცირეკალიბრიან სტანდარტში მან 1173 ქულა დააგროვა. ეს მაჩვენებელი 9 ქულით აღემატება ლ. უიგერის (აშშ) ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს, მაგრამ კლინგნერი მსოფლიოს რეკორდსმენი ვერ გახდება, ვინაიდან სროლაში უმაღლესი მიღწევები აღინიშნება მხოლოდ ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში. აღსანიშნავია, რომ გერმანელმა მსროლელმა დგომელა 386 ქულა მოაგროვა, რაც 10 ქულით სჯობს გ. ანდერსონის (აშშ) მსოფლიო რეკორდს, ხოლო ჩოქელა სროლაში კლინგნერის შედეგი (393) 2 ქულით აღემატება მ. ნიიაზოვის (სსრ კავშირი) მსოფლიო მიღწევას. რამდენიმე დღის შემდეგ კლინგნერი გფრ-ის გუნდის შემადგენლობაში მექსიკას გაემგზავრება ოლიმპიურ თამაშებში სასპარეზოდ.

◆ ულან-ბატორი. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ გამოუშვა ფერადი საფოსტო ნიშნების სერია (8 მარკა). ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილ ამ ნიშნებზე გამოსახული არიან მოჭიდავეები, ტანმოვარჯიშეები, ფრენბურთელები, ველოსიპედისტები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები.

დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ჟანგბადის ნაკლებობა, მიკროკლიმატის შეცვლა და სხვა, ავიწროებს აღდგენით და კომპენსაციურ შესაძლებლობებს სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილში. სხვა სიტყვებით, ინტენსივობისა და ხანგრძლივი მუშაობის მეტისმეტად მკვეთრი ცვლილების დროს სხეულში აღდგენა ფერხდება. ამასთან, საწვრთნელი პროცესის სწორად დაგეგმვის დროს ჟანგბადი სავსებით საკმარისია მაქსიმალური სპორტული შედეგების დონის მიღწევისთვის. აი, ამიტომაა, რომ დატვირთვის ზრდის ოპტიმალურ რეჟიმს, თვითეული მეცადინეობის აგების სწორ მეთოდიკას, ამას გარდა, სხვადასხვა პედაგოგიური და სამედიცინო-ბიოლოგიური ხერხის გამოყენებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სხეულში ძალის აღდგენასა და განმტკიცებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება სპეციალურად უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს. წვრთნისა და ძალის აღდგენის რეჟიმი თავის მხრივ ფსიქოლოგიური მომზადების უმნიშვნელოვანესი ბაზაა. ფსიქოლოგიური მზადყოფნის დაგეგმვის მიზანია სპორტსმენს გამოუმუშაოს თავისი ძალის მტკიცე რწმენა, ასწავლოს ოლიმპიური გუნდის ყველა წევრს ემოციების დამორჩილება, განუვითაროს მთელი ძალის მობილიზაციის უნარი ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში. აი, რატომ იყო აუცილებელი მთელ საწვრთნელ პროცესში სპორტსმენთა შეგნებული მონაწილეობა, მიღწევა იმისა, რომ თვითეული შეგნებულად დაუფლებოდა წვრთნისა და აღდგენის თავისებურებებს შუამთიანეთის პირობებში, აგრეთვე, შეჯიბრების დღეს მზადების თავისებურებებს. ამ საფუძველზე სრული შესაძლებლობა გვაქვს, რომ მივაღწიოთ მაქსიმალურ სპორტულ შედეგებს, დაძაბული ასპარეზობის პირობებში უზრუნველვყოთ საბჭოთა სპორტსმენის საუკეთესო თვისებების — ძლიერი ნებისყოფის, მიზანდასახულების, თავისი ძალის მტკიცე რწმენის გამოყენება.

მომავალ ოლიმპიადაში ბრძოლა ძალიან მძაფრი იქნება. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ თამაშების მეხიკოში ჩატარებასთან დაკავშირებული სიძნელეების გადალახვა შეიძლება. ეს შესაძლებლობა მკვეთრად იზრდება, როცა თვითეული სპორტსმენის გამოსვლაში აისახება არა მარტო მისი ინდივიდუალური მომზადება და ნებისყოფა, არამედ გამომჟღავნდება მთელი კოლექტივის პატრიოტული სული, მორალი და ნება. ამიტომ კოლექტიური ფსიქოლოგიის გავლენას ფართო გზა უნდა მიეცეს. როგორ გავიგოთ ეს? მეგობრობისა და ურთიერთდახმარების პირობებში ეს გავლენა იზრდება როგორც ერთი გუნდის წევრებს, ისე სხვადასხვა გუნდის წარმომადგენელთა შორის. ეს დახმარება უნდა მოიცავდეს როგორც სპორტსმენის პირადი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს, ისე მისი მზადების სპეციალურ საკითხებსაც. ჩვენი გამარჯვება ოლიმპიადაში ყველა სახეობაში წარმატების შედეგი უნდა იყოს. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ვერავითარი დროებითი წარუმატებლობა (თუ ეს მოხდა) ვერ იმოქმედებს საბოლოო შედეგზე.

ფავორიტები

სპორტის ყველა სახეობას ჰყავს თავისი ვარსკვლავები. ზოგნი კომეტასავით გაიქროლებენ, სხვები დიდხანს ხძლებენ „ცაზე". ერთი ასეთთაგანია ეთიოპიელი მძლეოსანი აბებე ბიკილა (სურათზე მარჯვნივ), რომელიც უკვე 8 წელია მსოფლიოს საუკეთესო მარათონელად ითვლება. ამასთან, იგი თანდათან აუმჯობესებს შედეგებს: რომის ოლიმპიადაში ბიკილამ მარათონული დისტანციის (42 კმ, 195 მ) გარბენას 2:15.16,2 მოანდომა. იგი ტოკიოშიც პირველი იყო და ამჯერად 8 წუთითა და 5 წამით უფრო სწრაფად ირბინა.

აბებე მეხიკოშიც იასპარეზებს. აქ იგი მარათონელთა ტურნირის მთავარი ფავორიტია, მაგრამ ტოკიოში ნაჩვენებ შედეგს გააუმჯობესებს თუ არა, ამას მხოლოდ შეჯიბრების შემდეგ შევიტყობთ.



ნანდელ ჩემპიონატში 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩამოიტოვა მსოფლიო ჩემპიონი ამ დისტანციაზე ს. ბელიც-გეიმანი და პირველად მოიპოვა ოქროს მედალი.

ყველაზე დიდ იმედებს ბრასზე ვამყარებთ. პირველი საბჭოთა ოლიმპიური მედალი ცურვაში — ბრინჯაოსი — სწორედ ამ სტილით მოიპოვა მელბურნის თამაშებში ქ. იუნიჩევამ. ტოკიოს თამაშებში საბჭოთა ბრასისტებმა უკვე სამი მედალი დაისაკუთრეს: ოქრო გ. პროზუმენშჩიკოვას ხვდა, ვერცხლი — გ. პროკოპენკოს, ბრინჯაო — ს. ბაბანინას. ახლა ორივე მეგობარი აიღებს სტარტს მეხიკოში. მათთან ერთად გამოვა 19 წლის მოსკოველი სტუდენტი ა. გრებენიკოვა.

იმ ვაჟებიდან, რომლებიც წინა ოლიმპიადაში ბრასის სტილით ასპარეზობდნენ, გუნდში დარჩა მხოლოდ ლენინგრადელი სამხედრო მოსამსახურე, 23 წლის ვ. კოსინსკი. აპრილში ტალინში სსრ კავშირ — გდრ-ის მატჩი ჩატარდა. კოსინსკიმ აქ 200 მ 2 წუთსა და 27,4 წამში გაცურა და გააუმჯობესა ერთ-ერთი ყველაზე ძველი მსოფლიო რეკორდი. დანარჩენი დებიუტანტები: ერთ-ერთმა მათგანმა — 19 წლის მოსკოველმა სტუდენტმა ნ. პანკინმა წლეულს კოსინსკის ჩამოართვა მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე. მისი შედეგია 1.06,2. მეორე — პოლტაველი სამხედრო მოსამსახურე ე. მიხაილოვი. იგი 21 წლისაა. ეს ტანმაღალი, წაბლისფერთმიანი სპორტსმენი ძალიან შრომისმოყვარეა, შეუპოვარი და, როგორც თავად ამბობს, ცხოვრება ცურვის გარეშე ვერ წარმოუდგენია.

მიხაილოვი საყვარელ სახეობაში 8 წელია ვარჯიშობს და მხოლოდ წლეულს მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა ბრასის ორივე დისტანციაზე. მიუხედავად ამისა, სპორტსმენი უკმაყოფილოა თავისი შედეგით. ამბობს: მეხიკოში მეტი სისწრაფე იქნება საჭიროო.

ეს გუნდის ყველა წევრის მიზანია.

— ჩვენ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ გაგვიჭირდება თანაბარი მეტოქეობა ამერიკელებთან, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ცურვის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარემ ზ. ფირსოვმა. — მათ სპორტის ამ სახეობაში მდიდარი ტრადიციები აქვთ. და მაინც, ვეცდებით მეხიკოში უკეთ გამოვიდეთ, ვიდრე ტოკიოში.

ახალგაზრდული გუნდი

ოლიმპიურ წელიწადს მოცურავეებმა გადამწყვეტი იერიში მიიტანეს მსოფლიო რეკორდებზე. ქალთა 24 და ვაჟთა 21 რეკორდი უკვე დაეცა. ახალი შედეგებიდან უმეტესობა ეკუთვნით ამერიკელ სპორტსმენებს, რომლებიც წინა ორ ოლიმპიადაში პირველობდნენ.

საბჭოთა მოცურავეები რომის ოლიმპიადის გუნდურ ჩათვლაში XI ადგილზე იყვნენ და ტოკიოში IV-V ადგილები გაიყვეს ჰოლანდიის გუნდთან.

ახლა მეხიკოს თამაშების პროგრამაში მოცურავეებისთვის დამატებით შეიტანეს 11 ნომერი, მათ შორის ბრასის ორი დისტანცია — 100 მ ვაჟებისა და ქალებისთვის.

ვ. ხაჩკოვანიანი.

საქჯელი მოფავორიტოს

...ულმოდგინე ვარჯიში და... დიეტა

...ხიკო, 3 ოქტომბერი. ...საბჭოთა ოლიმპიე... აქ კვლავ უდიდეს ...ადლებას იპყრობენ. ...ი პოლიციელთა ალ... არაფრად აგდებს და ...ოვრად ცდილობს ...დეს ტანვარჯიშის ...ნაზში, სადაც საბჭოთა ...ქალების გუნდი მე...ნეობს. ...რჯიშობენ ძალიან ...ი მონდომებით. აი, ორძელზე ზინაიდა ვორონინა ადის. იგი ზედიზედ იმეორებს ურთულეს კომბინაციებს. ბოლოს კი დგება დასვენების წუთიც. მასთან რომ მივედი, აღელვება შევამჩნიე.

— მოხდა რამე, თუ მექსიკის სიმაღლე უკვე იგრძნობა?

— არა. ვარჯიშის დროს სიმაღლეს ვერ ვგრძნობ, თუმცა შემდეგ სუნთქვა მართლაც ცოტა უფრო ჭირს, ვიდრე, ვთქვათ, მოსკოვში. მაგრამ ოლიმპიადამდე ჯერ კიდევ არის დრო და ალბათ ამასაც შევეჩვევი.

გუნდის უფროსი მწვრთნელი ლ. ლატინინა გვიამბობს, რომ პირველ სამ-ოთხ დღეს გოგონები თავს უფრო ცუდად გრძნობდნენ. მაგრამ ეს სიმაღლის ბრალი კი არა, უფრო დროში განსხვავების შედეგი იყო: ეს განსხვავება ხომ 9 საათს შეადგენს! ახლა ტანმოვარჯიშე ქალები ჩინებულ ფორმაში არიან, მაგრამ წამოიჭრა სხვა პრობლემა.

— სახელდობრ?

— მეგობრულ ატმოსფეროში და... გაძლიერებული კვების წყალობით ჩემმა აღსაზრდელებმა, რა თქმა უნდა, წონაში მოიმატეს. ეს კი დაუშვებელია საპასუხისმგებლო შეჯიბრებების წინ, — ღიმილით ამბობს ლარისა. — ამიტომ ზოგიერთს მკაცრი დიეტა დავუნიშნეთ.

დავინტერესდით, როგორ ატარებენ ტანმოვარჯიშეები თავისუფალ დროს.

— დასვენება გვინდა, როგორც იტყვიან, აქტიური იყოს, — გვიამბობს ლატინინა. — ვიყავით ქალაქგარეთ უძველესი პირამიდების დასათვალიერებლად, ვნახეთ ანთროპოლოგიური მუზეუმი, პარკები, კორიდასაც კი დავესწარით.

ამ დღეებში საინტერესო საუბარი გვქონდა სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფკავშირების ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან. ბევრი რამ შევიტყვეთ მექსიკის ახალგაზრდული ორგანიზაციების მუშაობაზე. მათაც ვუამბეთ ჩვენს ქვეყანაზე, საბჭოთა სპორტზე.

ე. სარატოვი.
(საკდესის კორ.).

ძალა ერთობაშია

თბილისის სპორტის სასახლე. 3 ოქტომბერი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — „ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) 17:17 (10:8).

თბილისი. აბაიშვილი, ექსეულიძე (გაიტანა 1 გოლი), ფხაკაძე (5), გაზდელიანი (4), სეფიაშვილი, ცერცვაძე (3), ნედბაილო (4). ითამაშა ზარდალიშვილმაც.

კრასნოდარი. პიანკოვი, ბარიშევი (1), შიიანი (4), ნაკონეჩნი (2), მაქსიმოვი (6), პანოვი (4), გრინბერგი. ითამაშა დოლგიმაც.

მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ვ. კოვალიოვი.

თამაშის წინ კრასნოდარელები თბილისელებზე 2 ქულით წინ იყვნენ და მატჩის შემდეგაც შეინარჩუნეს სტატუს-ქვო. თბილისელთა მთავარი ამოცანა სწორედ ის იყო, რომ ეს მდგომარეობა არ გამეორებულიყო. მაგრამ სურვილი ერთია, მისი შესრულება კი მეორე. თავიდან საქმე თითქოს კარგად წავიდა: ჯერ ფხაკაძემ პირველი შეტევიდან აიღო კრასნოდარელთა კარი, მერე ნედბაილომ შორეულ დაბალ კუთხეში გაგზავნა ბურთი — 2:0.

მე-11 წუთზე ანგარიში იყო 5:2 მასპინძელთა სასარგებლოდ. მომდევნო სამი გოლი ასე გავიდა: ფხაკაძე კუთხიდან სწრაფად შევიდა ცენტრში, გადასცა ბურთი ცერცვაძეს, მაშინვე უკან მიიღო და ლამაზი გოლიც გაიტანა. შემდეგ ფხაკაძე კვლავ პირველი შეტევიდან გავიდა მეტოქეთა კარის პირისპირ. კრასნოდარელებმა უხეშ ილეთს მიმართეს და შვიდმეტრიანი საჯარიმო ცერცვაძემ გოლად აქცია. მალე გაზდელიანმაც იმარჯვა და თბილისელები საგრძნობლად დაწინაურდნენ.

მეტოქეებმა მალე აუღეს ალღო თბილისელთა ე. წ. „ტაქტიკას" და რამდენიმეჯერ წონასწორობა აღადგინეს (6:6, 7:7, 8:8). რას ვგულისხმობთ ე. წ. „ტაქტიკაში"? საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს გუნდს არავითარი ტაქტიკური მონახაზი არ ჰქონდა (ყოველ შემთხვევაში, ეს თამაშის დროს არ გამოჩნდა). უბრალოდ, გუნდის მოქმედებაში ნიშანწყალიც არ იყო კოლექტიურობისა. უფრო მეტი იყო ინდივიდუალური თამაშისკენ სწრაფვა, ვიდრე წინასწარ დასახული ტაქტიკური ამოცანისკენ ლტოლვა, თვით ამ ინდივიდუალურ მოქმედებაში ვინ მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდა და ვინ... უხეირობით.

მატჩის გმირი იყო ფხაკაძე, რომელიც მხოლოდ საკუთარი ინიციატივის წყალობით ახერხებდა მეტოქეთა კარის აღებას. მაგრამ საკმაოდ ხშირად მას დონქიშემოყრილსაც დაინახავდით (განსაკუთრებით მეორე ტაიმში). ფხაკაძისთვის ბურთის მიწოდებას და მის აქტიურ თამაშში ჩაბმას არავინ ფიქრობდა. სიტყვამ მოიტანა და, თბილისის „ბურევესტნიკს" სწორედ ისეთი ტიპის მოთამაშე აკლია, რომელიც კოლექტივის დანარჩენ წევრებს აიყოლიებდა, ხელს შეუწყობდა გუნდის ამა თუ იმ ტაქტიკური ჩანაფიქრის განხორციელებას.

თბილისელთა რიგებში გამოირჩეოდნენ, აგრეთვე, მეკარე აბაიშვილი, გაზდელიანი, ნედბაილო. როგორც მუდამ, დაცვაში კარგი იყო ექსეულიძე. მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ თვითეულის თამაში ძალიან სუსტად იყო დაკავშირებული კოლექტიურ მოქმედებასთან.

ტაიმის ბოლოს თბილისელებმა მაინც იძალეს და 2 ბურთის სხვაობით მოიგეს იგი — 10:8. ამას ისევ გაზდელიანისა და ფხაკაძის ოსტატობას უნდა ვუმადლოდეთ.

შესვენების შემდეგ სტუმრები დაწინაურდნენ — 14:12, 15:13... კრასნოდარელთა ლიდერმა მაქსიმოვმა სწორედ ამ დროს უღალატა გუნდს — იგი უხეშობისთვის 2 წუთით გააძევეს. ამით ისარგებლეს თბილისელებმა და მდგომარეობა გაწონასწორდა — 15:15.

54-ე წუთზე შიიანმა ისევ დააწინაურა სტუმრები — 16:15. 56-ე წუთზე ექსეულიძე ათანაბრებს ანგარიშს — 16:16. ერთ წუთში კვლავ კრასნოდარელების უპირატესობა გამოიკვეთა — 17:16. მალე ნედბაილომ გაიტანა ამ მატჩის ბოლო გოლი — 17:17.

თბილისელებს მრავალი პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი (თაობათა ცვლა, სათანადო რეზერვის აღზრდა, თამაშში სათადარიგოთა გაბედულად ჩართვა და კიდევ ბევრი სხვა). ზოგიერთ სერიოზულ პრობლემაზე საუბარი ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ უფრო მიზანშეწონილია; ხოლო კრასნოდარელებთან გამართული მატჩიდან თბილისელებმა, პირველ ყოვლისა კი მათმა მოთამაშე-მწვრთნელმა ცერცვაძემ, სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ. ჯერ ყველაფერი როდია დაკარგული, საჭიროა ძალის მობილიზება, შეცდომების ობიექტური შეფასება.

* * *

„ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე)—ასკ (კიევი) 21:20 (12:9).

„ალუმინსტროი". ცაპენკო, ბოგატიკოვი (2), შატილოვი (4), ზელენოვი (7), გორიაჩიხი (3), ზემლიანოი (1), პოპადჩუკი (3). თამაშა სუხოვმაც (1).

ასკ. გოროდეცკი, ბრატჩენკო (2), მელნიკი (6), რაიცინი (2), ზდორენკო (2), მალიკი (7), კორუი. ითამაშეს, აგრეთვე, ვინარსკიმ, ჩერნიაევმა (1), ზახაროვმა და გლოტოვმა.

მსაჯი — საკავშირო კატეგორიის არბიტრი თ. ჩხარტიშვილი.

თუ ამ შეხვედრას ორი თვალსაზრისით — სპეციალისტისა და რიგითი მაყურებლის თვალით განვიხილავთ, შეიძლება ორ საპირისპირო დასკვნამდე მივიდეთ. ხელბურთში კარგად ჩახედულებმა იოლად შენიშნეს აუარებელი შეცდომა და წუნი ორივე გუნდში. აქედან დასკვნა: ასეთ მატჩს ვერ უწოდებ საინტერესოს. მაგრამ თუ მხოლოდ ანგარიშის ცვალებადობას აქცევდით ყურადღებას, მატჩი სანახაობრივად მიმზიდველი მოგეჩვენებოდათ. ამ დღეს ზაპოროჟიელებმა მთლიანად ვერ გამოამჟღავნეს თავიანთი ძალა და სწორედ ამიტომ იდგნენ კიდეც ხშირად საფრთხის წინაშე. გარდა ამისა, თავი იჩინა სათამაშო დისციპლინის ხშირმა დარღვევამ. ამ მხრივ განსაკუთრებით „გამოიჩინა" თავი ზელენოვმა. მსაჯის მიმართ მისმა განუწყვეტელმა აპელაციებმა გუნდს დათვური სამსახური გაუწია და სავსებით სწორი იყო არბიტრი ჩხარტიშვილი, მსგავს მომენტებში შესაბამის მკაცრ გადაწყვეტილებას რომ იღებდა.

ზაპოროჟიელთა გამოცდილებამ გუნდს საბოლოოდ გამარჯვება მოუტანა. ამ გუნდში კარგა ხნის შესვენების შემდეგ გამოჩნდა ნაკრების ყოფილი წევრი პოპადჩუკი. მან უკვე პირველივე შეხვედრაში დაამტკიცა, რომ კვლავინდებურად შეუძლია ბევრი უსიამოვნება მიაყენოს მეტოქეებს.

* * *

„დაუგავა" (რიგა) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 30:25 (17:11).

„დაუგავა". ვილხონსი, ინდუსი (1), იუბელი (1), როზენტალსი (10), სპრინგსი (3), კალნინში (5), ა. გულბისი (5). ითამაშეს, აგრეთვე, ვილიუმსონმა, მ. გულბისმა (3), კიპენ[...] (2) და პრიედნიხკმა.

„ჟალგირისი". ჟიობა, პ[...]რენასი (1), არჟოლაიტისი (...), გრიშკიავიჩუსი (3), დანტე (...), ეიზიტავიჩუსი (1), პოდბერ[...]კასი (1). ითამაშეს, აგრეთ[ვე], პაიპალასმა (3), პასვენსკა[...] და კავავუსკასმა (4).

მსაჯი — საკავშირო კატეგ[ორ]იის არბიტრი ო. შვაგირევი.

როცა კაუნასელები მოედანზე გამ[ო]ვიდნენ და მათს რიგებში მეკარე [...] კეცკასი ვერ დავინახეთ, ვიფიქრ[ე]თ, რომ გუნდი განწირული იყო. მე[...] მეკარემ ჟიობამ მხოლოდ პირველ [...] წუთს შეძლო კარის ასე თუ ისე ღ[...]სეულად დაცვა. რიგელებმა ეს კარ[...] გამოიყენეს და საბოლოოდ სასურ[...] შედეგს მიაღწიეს.

* * *

მოსკოვის საავიაციო ინს[ტი]ტუტი — „კუნცევო" (მოსკო[ვი]) 21:15 (13:10).

საავიაციო ინსტიტუტი. [...]გალი, რუსაკოვი (5), გასი[...] (6), ეფიმოვი, კლიმოვი (3), [...]რავლიოვი (1), კოჟუხოვი (...). ითამაშეს აგრეთვე, მახორი[...] (3), ზობოვმა და ალფეროვმა.

„კუნცევო". სემიონოვი, [...]ლომკო, მოროზოვი (3), ლებ[...]დევი, მაზური (4), მიხაილო[...] (5), შევჩენკო (1). ითამაშეს, [აგ]რეთვე, აფანასიევმა, სუცენ[...] და სტოლიაროვმა (2).

მსაჯი — საერთაშორისო კ[ა]ტეგორიის არბიტრი ბ. გელ[...]ნი.

პირველი ტაიმის დასასრულამ[დე] თამაში ერთობ დაძაბულად წარიმარ[თა] და დიდხანს ვერც ერთმა გუნდმა [ვერ] მიაღწია გადამწყვეტ უპირატესობ[ას]. ტაიმის ბოლოს სტუდენტებმა, რო[...] იტყვიან, წელში გაწყვიტეს მეტოქე[ე]ბი და 3 ბურთით დაწინაურდნენ. [...] შემდეგ საავიაციო ინსტიტუტის [...] ინიციატივა ხელიდან არ გაუშვია [...] ჩემპიონობის მთავარმა პრეტენდენტ[მა] დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწ[ია]. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახ[უ]რა სტუდენტთა მეკარე სეგალმა, რომ[ე]ლიც არა მარტო კარგად იცავდა კარს, არამედ შესანიშნავად ხელმძღვანელ[ობდა] და თანაგუნდელთა მოქმედებასაც.

ჯ. ენუქიძ[ე].

გუგუნ...

თბილისის სპორტის სასახლე[ში] საკავშირო ჩემპიონატის კიდე[ვ] 4 მატჩი გაიმართა. შედეგებ[ი] ასეთია: ასკ (კიევი) — მოსკო[ვ]ის საავიაციო ინსტიტუტ[ი] 18:32 (10:14), „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 25:18 (11:7), „კუნცევო" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) 22:2[...] (12:10), „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „დაუგავა" (რიგა) 25:16 (9:8).

ფეხბურთი

გ. კაჩალინის „დებიუტი"

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ სსრ კავშირის ეროვნულ ნაკრებ გუნდს სათავეში კვლავ ჩაუდგა გამოცდილი მწვრთნელი გ. კაჩალინი. ჩვენი ნაკრები ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით პირველად გამოვიდა 1 ოქტომბერს ოდესაში, სადაც მას ამხანაგური საწვრთნელი მატჩი ჰქონდა ადგილობრივ „ჩერნომორეცთან".

სპარინგ-მატჩი დამთავრდა ნაკრების გამარჯვებით — 2:0. გოლები გაიტანეს აბდურაიმოვმა და პუზაჩმა.

ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: რუდაკოვი (პშენიჩნიკოვი), აფონინი, შესტერნიოვი, შკლიარი (კაპლიჩნი), ძოძუაშვილი, მასლოვი, მუნტიანი, აბდურაიმოვი (მარქაროვი), პუზაჩი, ესკოვი (მეტრეველი), ხმელნიცკი (ევრიუჟიხინი).

გ. კაჩალინმა აღნიშნა, რომ კმაყოფილია დებიუტანტების — ძოძუაშვილის, აბდურაიმოვისა და მუნტიანის კარგი თამაშით.

გუგუნ...

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „ა" კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის წარმომადგენლები: „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ვოლგარი" (ასტრახანი). მატჩი დამთავრდა მასპინძელთა დამარცხებით — 0:1.

სსრ კავშირის პირველობა

არაობიექტური მსაჯობის გამო

თელავის „კახეთის" წარუმატებლობანი ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გუნდმა ბოლო დროს მკვეთრად გააუმჯობესა თამაში, ფეხბურთელები იბრძვიან მონდომებით, მთელი შესაძლებლობებით.

ასე ითამაშა გუშინწინ „კახეთმა" თავის მინდორზე ერევნის „არაქსის" გამოცდილი გუნდის წინააღმდეგ (საკმარისია ითქვას, რომ „არაქსის" შემადგენლობაში რამდენიმე სპორტის ოსტატი გამოდის). მთელი მატჩი მიმდინარეობდა დაძაბულ ბრძოლაში და მისი ბედი გადაწყვიტა სტუმრების თავდამსხმელის სიმონიანის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა.

ეს მოხდა 25-ე წუთზე. დარჩენილ დროში თელაველებს უამრავი მომენტი ჰქონდათ თუნდაც საპასუხო გოლი გაეტანათ.

ამრიგად, „კახეთი" კვლავ დამარცხდა, მაგრამ მისი ამ წაგების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ არმავირელი არბიტრის შაროვის უკიდურესად არაკვალიფიციური და არაობიექტური მსაჯობა. სტუმრები მთელი მატჩის მსვლელობაში დაუფარავად უხეშობდნენ. შაროვი კი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. გარდა ამისა, მსაჯი სისტემატურად ცვლიდა თავისსავე გადაწყვეტილებას და, როგორც წესი, სტუმრების სასარგებლოდ, თანაც, არავითარ ანგარიშს არ უწევდა გვერდითი მსაჯების სიგნალებს.

ს. ოხანაშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„ბ" კლასი

ზუგდიდელთა გამარჯვება

გუშინწინ ზუგდიდში გაიმართა „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდების კალენდარული შეხვედრა: ადგილობრივმა „ენგურმა" მიიღო სოხუმის „დინამო".

თამაში პირველივე წუთებიდან დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. უპირატესობის ხელში აღება „ენგურმა" თავიდანვე შეძლო: მე-5 წუთზე როგავამ ახლოდან ძელს მოახვედრა დარტყმა, ხოლო ცოტა ხანში სოხუმელთა მეკარე ვეკუამ შეძლო აბრალავას მიერ დარტყმული ძნელი ბურთის აღება. ტაიმის დასასრულს შეტევაზე უკვე დინამოელები იყვნენ.

ხელახალი ძალით გაჩაღდა ბრძოლა შესვენების შემდეგ. 55-ე წუთზე ალმასიას ჩამოწოდებულ კუთხურზე კარგად გაიდა როგავა და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. სტუმრებმა მარცხს სწრაფი კონტრიერიშით უპასუხეს, რაც დამთავრდა წონორია — გაბისკირიას მიერ გათამაშებული კომბინაციითა და სამაგიერო გოლით.

„ენგურმა" კიდევ უფრო უმატა ტემპს. სოხუმელთა მცველს ზოკუჩავას ზედ კარის ხაზიდან მოუხდა ალმასიას ბურთის მოგერიება, მაგრამ მე-80 წუთზე სირაძემ კარგად გამოიყენა იმავე ალმასიას გადაცემა და გამარჯვება მოუტანა ზუგდიდელებს — 2:1.

ბ. ალშიბაია.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

1:2, 1:1, 0:1...

III ზონაში გამართული შეხვედრები ასე დამთავრდა: „ურალანი" (ელისტა) — „უროჟაი" (ლაბინსკი) 1:0, „უროჟაი" (სვეტლოგრადი) — „ტორპედო" (არმავირი) 0:3, „კოლოსი" (ალექსანდროვსკაია) — „უროჟაი" (მაიკოპი) 0:2, „სპარტაკი" (ორიოლი) — „დილა" (გორი) 2:1, „შრომითი რეზერვები" (კურსკი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:1, „სპარტაკი" (ბელგოროდი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 1:0, „უროჟაი" (სლავიანსკი) — „დაშკინი" (ზაქათალა) 3:0, „ხიმიკი" (ნევინომისკი) — „არაზი" (ნახიჭევანი) 2:0, „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) — „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) 0:0, „ხიმიკი" (ბალაკოვო) — „ენერგია" (ვოლჟსკი) 2:0.

ახალი ამბები

● ლინჩიოპინგი, 2 ოქტომბერი. შვეციის ამ ქალაქში მოეწყო ორიენტირების საერთაშორისო ფედერაციის სხდომა. გადაწყდა, რომ 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება უნგრეთში, ხოლო 1970 წლისა — გდრ-ში. ამავე სხდომაზე საერთაშორისო ფედერაციის წევრად მიიღეს ბელგია.

● მონრეალი, 2 ოქტომბერი. კანადაში მიმდინარეობს ექვსდღიანი საერთაშორისო ველორბოლა. ოთხი დღის შემდეგ დაწინაურდნენ დანიელები. ბედმა უმუხთლა ცნობილ ბელგიელ ველომრბოლელ პ. სერკიუს: შეჯიბრებისას იგი დაეცა და ხელი მოიტეხა.

● კაირო, 2 ოქტომბერი. აქ დამთავრდა აფრიკული ქვეყნების კალათბურთელ ქალთა ჩემპიონატი. გადამწყვეტ შეხვედრაში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სპორტსმენებმა დაამარცხეს სენეგალელები (47:39) და ჩემპიონობა მოიხვეჭეს.

● ტოკიო, 3 ოქტომბერი. როგორც ცნობილი გახდა, 1969 წლის 19-22 თებერვალს ცენტრალური იაპონიის სოფელ სანკეი ხორანში გაიმართება პროფესიონალ სამთომოთხილამურეთა I მსოფლიო ჩემპიონატი. საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ ტურნირში გამოვა ავსტრიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გფრ-ის, საფრანგეთისა და იაპონიის 24 უძლიერესი სპორტსმენი, რომელთა შორის იქნებიან ავსტრიელები ციმერმანი, ლეიტნერი, ჰინტერზეერი, ფრანგები ლაკრუა, ჟი პერია და სხვ.

● მალმე, 3 ოქტომბერი. ბადროს ტყორცნაში ქვეყნის რეკორდსმენმა რ. ბრუხმა ზაფხულში სერიოზული ოპერაციის გადატანის შემდეგ ინტენსიური ვარჯიშით ახლა თითქმის აღიდგინა ფორმა. აქ გამართულ ერთ-ერთ შეჯიბრებაში მისი შედეგია 60,56 მ.

● ერფურტი, 3 ოქტომბერი. 27 წლის ი. ფრიდრიხმა ბირთვი 17,04 მეტრზე ჰკრა და ახლა იგი გდრ-ში მეოთხე სპორტსმენია, ვინც 17-მეტრიანი ზღვარი გადალახა. 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში ამ ქვეყანაში სეზონის საუკეთესო შედეგი მოიპოვა დ. ჰერმანმა — 8.37,0.

ამჯერადაც მოგება[...]

აშხაბადი. 3 ოქტომბერი. სს[რ] კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩ[ემ]პიონატის II ტურში კვლავ წ[ა]მატებით ითამაშა საქართველ[ოს] ჩემპიონმა ნ. ალექსანდრიამ. [...] ამჯერადაც კარგ სტილში დაამ[არ]ცხა ალმაათელი ლ. სტარჩენკო[...].

გურჯინძელმა მოუგო გოლ[...]ვეის, ბორისენკომ — სკეგინას, [...]ნიკუმ — კაცკოვას, ზვორიკ[ინამ] — ბელოვას.

მ. სანაძე შეხვდა ტ. ზატულო[ვს]კაიას (ბაქო). ხუთსაათიანი ბრ[ძო]ლის შემდეგ პარტია გადაი[დო] ქართველი მოჭადრაკისათვის [...]რეს პოზიციაში. I ტურის გადა[დე]ბულ პარტიაში სანაძე ყაიმზე [...] უთანხმდა რ. ესტერკინას (ლენ[ინ]გრადი). გადაიდო, აგრეთვე, ა. [...]იკოვსკაია (თბილისი) — მ. [...]ლის (ლვოვი) პარტია. თბილის[ელს] ოსტატს მოგების შანსი აქვს. [...]აი, I ტურის ზოგიერთი გა[...]ტოვებული შედეგი: მ. რანიკუ (ტ[...]ლინი) — ნ. კონოპლიოვა 0:1, [...] ბელოვა (ფსკოვი) — სტარჩენ[კო] 1:0, კ. სკეგინა (მოსკოვის ო[ბლ]ქი) — ნ. რუსინკევიჩი (დონეც[კი]) 0,5:0,5.

რედაქტორი მ. კაკაბა[ძე]

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 0425[...]